200 ნომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1356

სამშობლო

პარასკევი
16 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 200 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 200

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 15 ოკტომბრიდან ახალი ფართო პროგრამა.

სამხედრო ქრონიკა. სკობელევის კომიტეტის 21 სერია, თეატრ „რადიუმის“ მონოპოლია.
კოლოსალური სენსაცია!

მილიონების ჰიპნოზის გავლენის ქვეშ.

გაგრძელება 9 და 10 სერიისა 4 ნაწილით.
უმთავრეს როლში მონაწილ. იღებს გამოჩენილი მსახ. ქალი პერლ ვიტტი.
იმ პირთ, ვისაც წინანდელი სერიები არ უნახავთ, შეუძლიათ მიიღონ კასაში მთელი აღწერა ნაჩვენები სერიებისა.
კიდევ დაინახავთ მინაა ჯაშუში. მხიარული კომედია პრენსის მონაწილ.

ანონსი: ორშაბათიდან, 18 ოკტ. ნაჩვენები იქნება სამი ბოევიკი განსაკუთრებული სენსაციური სურათი. 1. გერმანელების ფრონტის გარღვევა ფრანგებისაგან და ბრძოლით აღება გარტმანსვეილერსკოფისა. ბუნებიდან. 2. ხიმერა ძლევამოსილ სიყვარულისა. მხატვრ. დრამა 4 ნაწ., ტურგენევის მოთხრობიდან, ხოლოდნისა, პოლონსკისა და რუნიჩის მონაწილეობით. 3. იშვიათი ზამბახი. კომიკური, მაქს ლინდერის მონაწილეობით.

„სინათლის“ საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი“ („როსსია“), სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ გთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქ. ქუთაისში ექიმი ქენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ლებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი გ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ებმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
დეკანოზოვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაბლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ მარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოგ[illegible] წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის [illegible] თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

სერგეი დავითის ძე ერისთავი გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ კვირას, 18 ოკტომბერს, სოფიჩხიის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მისი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის

მიტუშას

სულის მოსახსენებლათ.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 3—1

საშუალო სასწავლებლის უმცროს კლასებისთვის, უმაღლეს დაწყების 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის მამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, [illegible] ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძე ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, [illegible]შვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 13 ოკტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. დვინას მარცხენა ნაპირზე, იქსკიულის სამხრეთით გერმანელები უეცარის იერიშით უარტილერიოთ სცდილობდნენ ერთ-ერთი სიმაგრის დაპყრობას, მაგრამ დროზე იქნენ შემჩნეულნი და სროლით მოიგერიეთ. დვინაზე ლინგენის რაიონში, ფრიდრიხშტატის ქვემოდ საარტილერიო და თოფის სროლა იყო. მდ. დვინის მარცხენა ნაპირას, იაკობშტატის დასავლეთით, ცხარე საარტილერიო სროლა იყო. ილლუქსტის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ახალი იერიშები გერმანელებისა უშედეგო იყო. ბოგინსკოეს ტბის დასავლეთით სოფ. ვოინიუნისთან ბრძოლამით დასრულდა, რომ ეს სოფელი „დავი[illegible]“ [illegible]რით. დანარჩენ პირზე სამხრეთით მდ. პრიპიატის რაიონამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირის რაიონში, რაფალოვკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარი სოფ. ბულკა-გოლუზიისკში შეიჭრა, ხელთ იგდო ტყვიისმტყორცნელები და ტყვეები. ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით მტერმა სოფ. მედვეჟიეს შემოუტია, მაგრამ მოგერიებული იქნა. მტერმა დიდი ძალებით იერიში მიიტანა ჩვენს ჯარზე სოფ. კუკლის ჩრდილოეთით, დაბა კოლკის ჩრდილოეთით. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა წვერიდან იერიშის მიტანით უკუაგდო გერმანელები, ამასთანვე დაატყვევეს 7 აფიცერი და 200 ჯარისკაცი. გუშინდელ ცნობაში მოხსენებულ სოფ. კომაროვოსთან მომხდარ ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა დიდი გმირობა გამოიჩინა და ამის წყალობით დაიპყრო ეს სოფელი. ამიტომაც თავდაპირველი გამარჯვება, მტერმა ვერ გამოიყენა. მტრის ჯარის ნაწილი, „რომელმაც შეავიწროვა ჩვენი ჯარი, ბოლოს გარსშემორტყმული შეიქნა და დიდადაც დაზარალდა. გუშინ აღნიშნული რიცხვი დატყვევებულთა თანდათან იზრდება; ტყვეთა შორის ბევრი გერმანელია. სოფ. კოლიცის ჩრდილოეთით, მტერმა სამჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ ყველა იერიში მოგერიებული იქნა. ბრძოლის ველი დახოცილთა გვამებითაა დაფენილი.

კავკასიის ასპარეზი.

11 ოქტომბერი. შუაღლისას ოსმალთა რაზმმა ისარგებლა ხშირი ნისლით, მდ. არხივზე გადავიდა და ოთხი იერიში მიიტანა ჩვენი სანგრების წინააღმდეგ სოფის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იერიში მოგერიებულ იქნა. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ტორტუმის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სოფ. ვეგიკთან მოწინავე რაზმების შეტაკება მოხდა. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

სევასტოპოლი. 13 ოქტომბერი. რუსეთის გემებმა ოსმალთა გემი დაღუპეს, რომელიც დატვირთული იყო დიდძალი კონტრაბანდით. მეზღვაურნი გადაარჩინეს.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 12 ოქტომბერი. დღის ცნობა. შამპანში ჩვენ გუშინ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ, აქ მტერი კიდევ ფეხმოკიდებული იყო თავის მეორე ხაზის წინ ძლიერ გამაგრებულ კონცხზე. ეს კონცხი ძლიერ გამაგრებული იყო ლაკურტის სიმაგრეებით. სიმაგრეები ჩვენ დავიპყარით სასტიკი ბრძოლის შემდეგ. სიგრძით ეს ადგილი 1200 ადლია, სიღრმით 250. შესდგებოდა 3—4 წყება სანგრებისაგან, რომელნიც შეერთებული იყო გვირაბებითა და თხრილებით. მიუხედავად მძლავრი სიმაგრეებისა და დამცველთა თავგანწირულობისა, ჩვენმა ჯარმა იგი დაიპყრო საარტილერიო სროლით ნიადაგის მომზადების შემდეგ. მტრის ზარალი დიდია, დატყვევებულია 200 მეტი, რომელნიც ოთხ სხვა და სხვა პოლკს ეკუთვნიან.

საღამოს ცნობა. მტერმა დღეს შამპანში გაფთრებული კონტრ-იერიშები მიიტანა ლაკურტინის სიმაგრის მთელ პირზე; მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავძელით ამ სიმაგრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილებში. გერმანელებმა მოახერხეს დაპყრობა რამდენიმე სანგარის შუაგულში; აქ სასტიკი ხელჩართული ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ პირზე არაფერი ცვლილებაა.

პარიზი. 13 ოქტომბერი, დღის ცნობა. შამპანში ლაკურტინის სიმაგრის შუაგულს სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ჩვენი ჯარის სასტიკმა წინააღმდეგობამ გერმანელები მოაჭანცა. მასსიჟის მხრივ მოულოდნელად მოხდენილ იერიშის წყალობით ჩვენ დავიპყარით ერთი სანგარი გერმანელებისა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუმინეთი.

ბუქარესტიდან დეპეშით იტყობინებიან: მთავრობის წრეების აზრით, ბულგარეთისა და გერმანიის სერბიაზე თავდასხმამ ძლიერ სერიოზული მდგომარეობა შექმნა რუმინეთისათვის.

ვარდარის ხეობით მიმოსვლის შეწყვეტამ რუმინეთს საშუალება წაართვა ხმელთა შუა ზღვასთან დამოკიდებულობა იქონიოს. და თუ რუმინეთი სერბიის სასარგებლოთ გამოვა, მაშინ იგი სამხედრო სურსათს ვეღარ მიიღებს სალონიკით. ამიტომ რუმინეთის გამოსვლა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ საჭირო რკინის გზას მოკავშირეთა ჯარის საკმაო ძალა დაიცავს მოპირდაპირეთაგან. ამგვარათ,—აცხადებენ რუმინეთის სამხედრო წრეები, რუმინეთის მოქმედების მიმართულება დამოკიდებული იქნება ბალკანეთში გაგზავნილი შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარის რაოდენობაზე.

ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ ბუქარესტში ამ ჟამათ ფორმალური ომია გამართული ორი ჯგუფის დიპლომატებს შორის. თითოეული ჯგუფი ცდილობს რუმინეთი თავის სასარგებლოთ გამოიყენოს.

თავისი მხრით, რუმინეთის პოლიტიკები, რომელნიც თანაუგრძნობენ შეთანხმების სახელმწიფოებს, ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ დაითანხმონ ბრატიანუს მთავრობა სერბიის დახმარებაზე.

ბრატიანუ მზათაა დააკმაყოფილოს შეთანხმების სახელმწიფოთა მომხრე პოლიტიკების თხოვნა, მაგრამ ამ საქმეში მას ხელს უშლის ბერლინის მორჩილი მეფე ფერდინანდი. როგორც ამბობენ, ფერდინანდს თავისი პრემიერისთვის შემდეგი გამოუცხადებია: საჭიროა შთააგონო ხალხს, რომ რუმინეთის გამოსვლა ავსტრო-გერმანეთის წინააღმდეგ ამ ჟამათ რუმინეთის არსებობის მოსპობას მოასწავებს და იგი გამოვა მხოლოდ იმ დროს, როცა აშკარა იქნება ამა თუ იმ მებრძოლი ჯგუფის გამარჯვება.

— მე პირადათ, უთქვამს შემდეგ ფერდინანდს, მზათა ვარ დავემორჩილო ძალას, თუ რომელიმე მებრძოლ ჯგუფთაგანი დაარღვევს ნეიტრალიტეტს და თავის ჯარს რუმინეთის ტერიტორიაზე გაატარებს, მხოლოდ ახლა არც ერთ მათგანს არ მივემხრობიო. (რ. ს.).

საბერძნეთი.

დნეპროვი „რუს. სლ.“ სწერს:—შეთანხმების სახელმწიფოთა ელჩები ყოველ დღე ნახულობენ ზაიმისს და ხანგრძლივათ თათბირობენ მასთან.

სერბია საბერძნეთ შორის დადებული ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც საბერძნეთი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს სერბიას, ჯერ კიდევ არ წაუყენებიათ ოფიციალურათ ზაიმისის მთავრობისათვის, თუმცა ზაიმისის მთავრობამ უკვე იცის ის, რომ შეთანხმების დიპლომატები არ იზიარებენ მის შეხედულებას სერბია-საბერძნეთის ხელშეკრულობის შესახებ და ამ ხელშეკრულობის ძალით, დიპლომატების აზრით, საბერძნეთი ვალდებულია გამოვიდეს სერბიის სასარგებლოთ მაშინაც კი, თუ ბალკანეთში ბალ-

კანეთის გარეშე სახელმწიფოებს ომი მოუხდებათ.

ჩემ მიერ მიღებული ცნობებით, სწერს დნეპროვი, შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატებს შორის გაცხარებული მსჯელობაა დიპლომატების შეერთებულათ გამოსვლის შესახებ ათინაში. ამ გამოსვლის მიზანია—საბერძნეთის გამოყვანა შეთანხმების სასარგებლოთ, არა მარტო სერბია-საბერძნეთის ხელშეკრულობის ძალით და ელინიზმის ინტერესების საერთო კავშირით შეთანხმების სახელმწიფოთა მიზნებთან, არამედ ფართო კომპენსაციის მინიჭებითაც.

თავის გამოსვლისათვის შეთანხმების სასარგებლოთ საბერძნეთს მიეცემა სმირნის ვილაიეტს გარდა ფრაკია და კუნძული კიპრი.

ზოგიერთის ცნობით, რომელნიც სხვა წყაროებიდან გამომდინარეობს, საბერძნეთს დაეთმობა 12 კუნძული და აღმოსავლეთ რუმელიის ნაწილი, რაც უკვე საეჭვო არაა.

დაახლოვებული წრეების აზრით, ასეთი ნოტა შეთანხმების სახელმწიფოებისა უახლოეს დროში წარედგინება საბერძნეთის მთავრობას.

მეორე მხრით ბულგარეთ-გერმანეთის დიპლომატია ყოველგვარ საშუალებას ხმარობს შეაჩეროს საბერძნეთის გამოსვლა შეთანხმების სახელმწიფოთა სასარგებლოთ.

უკანასკნელ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ ბულგარეთის ელჩმა პასაროვმა არა ოფიციალური მოლაპარაკება უკვე დაიწყო, და ცდილობს გაიგოს საბერძნეთის ზოგიერთი მინისტრის აზრი, შესაძლებელია თუ არა მოხდეს ბულგარეთ-საბერძნეთის შორის ფორმალური შეთანხმება. თუმცა ზაიმისმა დაინტერესებული დიპლომატები დაარწმუნა, რომ ბულგარეთ-საბერძნეთის შორის არავითარი მოლაპარაკება არ სწარმოებს.

ამ ხმების მიხედვით, ფრიად სიმპტომატიურია ბულგარული გაზეთის „კამბანის" სტატია, რომელშიც სოფიის გერმანოფილური წრეები ძლიან თანაგრძნობით ლაპარაკობს ბულგარეთ-საბერძნეთის შეთანხმებაზე.

სამშაბათს მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. სამი საათის განმავლობაში საგარეო პოლიტიკის საკითხები ირჩეოდა კრების შედეგები პრესისათვის საიდუმლოა.

ქრონიკა.

რუსეთი.

როგორც „რეჩი" იტყობინება, 7 ოქტომბერს მინისტრთა საბჭოს სასწრაფო კრება მოხდა გორემიკინის ბინაზე. კრებამ სამ საათს გასტანა. კრებაზე დაესწრო ახლათ ჩამოსული მინისტრი რუხლოვი. შინაგან საქმეთა მინისტრმა კრებას წარუდგინა მოხსენება სურსათის ნაკლებულობისა და გაძვირების შესახებ. ხვოსტოვის აზრით, საქონლის წესიერ გადაზიდვის გარდა, მცხოვრებლების დასაკმაყოფილებლათ, საჭიროა ენერგიული ზომების მიღება სიძვირის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია სპეკულიაციის მიზნით. ამ საქმეში მინისტრი ენერგიული ზომების მიღებას აპირობს.

იგი ახლო მომავალში ვრცელი მოხსენებით გამოვა ამ საკითხის შესახებ.

ნიხრი ბინებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხდა წინასწარი თათბირი ბინებზე ნიხრის დაწესების შესახებ. განზრახულია ბინებზე დააწესონ შესაფერი ნიხრი. ამ საკითხის მოწესრიგება კანონპროექტის ძალით დაეკისრებათ საქალაქო თვითმართველობებს. ხოლო, თუ რაიმე მოსაზრებით ქალაქის თვითმართველობა ამ უფლებით არ ისარგებლებს, მაშინ ასეთ ნიხრს ადმინისტრაცია შეიმუშავებს. რაც შეეხება იმას, საკანონმდებლო დაწესებულებით გაიყვანონ ეს კანონპროექტი, თუ 87 სტატიის ძალით, ამაზე მინისტრთა საბჭო ცალკე მსჯელობას იქონიებს.

სათათბიროს მოწვევის გარშემო.

რუსული გაზეთების ცნობით, სათათბიროს მოწვევა განზრახულია 3—5 ნოემბრამდი, ბალკანეთის საქმეების გამო. სათათბიროს მოწვევის ნამდვილი ვადა ამ დღეებში გამოქვეყნდება. ამის შესახებ ზოგიერთი უწყება შეეკითხა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს, გორემიკინს. სათათბიროს პროგრამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რასაკვირველია, მხოლოდ ფიქრობენ, რომ სესია ხანგრძლივი არ იქნებაო. უმთავრესათ სათათბიროს წარედგინება განსახილველათ გადახვეწილთა საკითხი და პროექტი სახელმწიფო სამსახურში მყოფ ინოროდცების უფლებათა შეზღუდვის მოსპობის შესახებ.

მუშები და მათი ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ.

სატახტო გაზეთების გადმოცემით, პეტროგრადში ბევრი ქარხნის მუშებმა შეიმუშავეს ზომები სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლათ. პუტილოვის ქარხნის მუშებმა დაადგინეს აირჩიონ სასურსათო კომისია. ზოგიერთი ქარხნის მუშებმა სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლათ საკმარისათ არ იცნეს მარტო სამუშაო ფასის გადიდება. დიუფლონის ქარხნის შენობაში, მთავრობის ნებართვით კრება გაიმართა მუშებისა სიძვირის საწინააღმდეგო ზომების გამოსარკვევათ. ორატორების აზრით, საჭიროა ლეგალური ორგანიზაციების მოწყობა, პროფესიონალური კავშირებისა და კოოპერატივების დაარსება და სხვა. როცა ორატორებმა სალაპარაკო პროგრამას გადაუხვიეს, კრება, ადმინისტრაციის წარმომადგენლის მოთხოვნით, თავჯდომარემ დახურულათ გამოაცხადა.

ნაღმოსნების მოქმედება

ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია აშმიდ ბარტლეტის მოხსენება დარდანელიდან:

— ომის დაწყებიდანვე პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ერთად-ერთი საიმედო იარაღი წყალქვეშა ნავებთან საბრძოლათ ეს-ნაღმოსნებია. დარდანელის ოპერაციებში ნაღმოსნებმა დიდი როლი შეასრულეს, რომელიც საზოგადოებამ ღირსეულათ ვერ დააფასა, მგრამ ეს ცნობილია ფლოტისა და არმიისათვის. 14 თვის განმავლობაში შეუძლებლათ, სდარაჯობენ რა აზიის სანაპიროებს, არხიპელაგის წყლებში მედგრათ ებრძოდენ წყალქვეშა ნავებს. რადგანაც ნავიგაციის პირობები დარდანელის სრუტის შესავალთან განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, ძლიერი მიმდინარეობისა და აღმოსავლეთის ხშირი ქარების გამო, ნაღმოსნებს უხდებოდათ სისწრაფე გაევითარებიათ 10 ხვეულამდი ერთი საათის განმავლობაში მარტო იმიტომ, რომ შეენარჩუნებიათ დაკავებული ადგილი და მზათ ყოფილიყვნენ მტერზე თავდასასხმელათ ან დაღუპულ ხომალდის გადასარჩენათ.

ნაღმოსნების როლი განსაკუთრებით დიადი იყო იმ ისტორიულ დღეებში, როცა მოკავშირეებმა დესანტი გადასხეს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე. ამ დროს ნაღმოსნებს პირდაპირ ნაპირებამდი უხდებოდათ მისვლა, საიდანაც ოსმალთა ბატარეია სეტყვასავით აყრიდა შრაპნელებისა და ტყვიის მტყორცნელთა ცეცხლს. ნაღმოსანი, ეს—ჯარის კაცის მეგობარია და ეს ყველამ კარგათ იცის დარდანელში. ერთხელ ორ ტრანსპორტს ჯარი გადაყავდა, იდგნენ რა ჩანგლით ნაპირის ახლოს. ამ დროს ოსმალეთის ბატარეიამ გაძლიერებული ცეცხლი დაუშინა ტრანსპორტებს. პირველივე ყუმბარით ტრანსპორტის ქვაბი დაზიანდა და არ შეეძლო მოხსნილიყო ჩანგალზე. მდგომარეობა მეტად საშიშარი შეიქნა. მაშინ ელვასავით მიცურდა ნაღმოსანი, ჩადგა ტრანსპორტისა და ნაპირის შუა და თავის საკვამლეებიდან გამოუშვა ხშირი შავი კვამლი, რომლითაც გემები სრულიად დაფარა. ამგვარ საშუალებით საჭქარო ზომები მიიღო ტრანსპორტის გადასარჩენათ. ოსმალეთის ბატარეიამ ცეცხლი გააძლიერა, იმ ადგილისკენ, სადაც სქელი კვამლი იდგა, მაგრამ ამ დროს ნაღმოსანი უკვე დაშორებული იყო საშიშარ ადგილს.

ხმელთა შუა ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავების გამოჩენამ ნაღმოსნებს ახალი სამუშევარი გაუჩინა, მათ არა მარტო თავისი გემები უნდა დაეცვათ, ენერგიულათ უნდა ენადირებიათ წყალ ქვეშა ნავებზე. დღე და ღამ ნაღმოსნები დასცურავდენ მთელ არხიპელაგის წყლებში მათ საძებრათ. რასაკვირველია, ამ ძებნის დროს ხანდახან საქმე უშარცხოთ არ გათავდებოდა ხოლმე.

ერთხელ ერთი ნაღმოსნის ახალ გაზდა ლეიტენანტმა ცეცხლი დაუშინა მტრის წყალქვეშა ნავს, რომელიც წყლის ზედა პირზე მოსჩანდა, ოთხი პერისკოპით. ცეცხლის დაშენის შემდეგ წყალქვეშამ გამოუშვა რაღაცნაირი „სულის შემხუთავი გაზი" და „პერისკოპი" მიიმალნენ. ბეჯითი გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო დამხრჩვალი ცხენი ოთხი ჩლიქით და სწორეთ ეს იყო მიჩნეული პერისკოპებათ.

იმის შემდეგ. რაც ჩვენი კამპანია დაიწყო ახლოაღმოსავლეთში—დაასკვნის აშმიდ ბარტლეტი,—არც ერთხელ არ მინახავს, რომ რომელიმე ნაღმოსანი 4—5 საათის განმავლობაში იაკორზე მდგარიყოს. კამანდა, სიმართლე უნდა ვსთქვათ, დაუღალავია. სადაც კი გამოჩნდება ნაპირზე თხრილებში ოსმალოს თავი, იმ წამსვე იქ დაიბადება ხოლმე ბოროტი სილუეტი მღვიძარე დარაჯისა.

„მეგობარს"

დიდიხანია, რაც გამოხმაურივარ, „მეგობარო" ჩემო? დიდი ხანია, რაც ენა ამოიდგი? დიდიხანია, რაც გაგიჩნდა მასალები და დეპეშები „საკუთარის კორესპონდენტებისაგან?

მოიცადე ერთი-ორი თვე და შენც [illegible]ნახავ, რომ ტყვილათ ფიქრობ!

მანამდის კი, თუ [illegible] წაკითხულის გაგების [illegible] ძლიან კარგად უნდა იცოდე, ბიძია, ვისთვისაც „ბანდები" და ვისთვისაც „ვადები", მაგრამ სიმართლე მაინც მაიძულებს გსთქვა:

— გარეგნობითაც რომ გაიშო შუაზე, ჩვენ დასელებს მაინც ვერ აჯობებ ვერც სოციალისტობაში და ვერც მუშაობაში, „ზვიოთი" კი არა, თვით დუშელი რაკეტაც რომ მოგეშველოთ.

შენი „სოციალისტობა" თვალთ-მაქცობაა, უფრის უნცრობობაა და შენი „ეროვნული საკითხი"—ბატონ-ყმობა, ბედიადობა. ამას თუ გნებავთ, შემდეგში მაგალითებით დაგიმტკიცებთ, და რათ გიკვირს, რომ თქვენიანების ლათაიები ვრცლათ გადმოვბეჭდე, იმის დასანახველათ, თუ რა ჯურის ხალხისაგან იღებენება მართალი სიტყვა და წრფელი აზრი, რა ბაქიები, რა ტრაბახები, რა ლაყბები ხართ, როცა ჯერ არაფერი გაგიკეთებიათ-რა და ვერც ვერაფერს გააკეთებთ, რადგანაც არ სკამზე მჯდომარეთ ან ერთი სკამი წაგექცევათ, ან მეორე და ისე დასხდებით, რომ ცნობილი ქამი ბადრიძეც კი ვეღარას გამველით.

მე არ მინდა, რომ, ასეთი მარცხი მოგივიდეთ.

შენც, ჩემო „მეგობარო", ჯერ ბალღი ხარ, უსუსური, და მეშინიან „სახალხო ფურცლის" პარტიის მადრევანობამ არ წაგლეკოს, ვინაიდან თუ შენი მკითხველები და სტიპენდიებით მონადირებული ზოგიერთა ახალგაზდა ვერ გიცნობს შენ, მე ხომ კარგად გიცნობ, მე ხომ ვიცი: ვინა ხარ, რა გაკეთებია, ან რას გაკეთებაც შეგიძლია?...

ნუ დიკლიკებ, ბიჭო, ნუ ლაყბობ ჩემი მიმართულების შესახებაც. შენ იმას ვერ გაიგებ. ამას გაგებას გული უნდა, გული წმინდა და მართალი, შენი გული კი ჭუჭყიანია, „როგორც გული ძველი ჩინოვნიკისა".

შენ ხარ მხოლოდ ლეში ბუზმენტებით მართულ კუბოში მდებარე.

სული შენი არც ცაშია, არც დედამიწაზე.

შენი ცხვირი იმდენათ დიდია, რომ სხვას ვეღარა ხედავ.

და შენი თვალი იმდენათ—ბეცი, რომ მეჯღანურაშვილები და ნაბატონარნი „სოციალისტებათ გეწვენება.

საბრალო სოციალიზმი, შენ ხელში! საბრალო ჩვენი დედანი შენი გადამკიდე!...

შენ მეუბნევი: იმიტომ არსებობ, რომ ზედმეტი გაზეთის ქაღალდი გაასაღოო.

შენ კიდევ იმიტომ გაჩნდი, რომ სასულედე იღაპარაკო...

რატომ არა გრცხვენია!

გირჩევ, ჩემო „მეგობარო" იყუჩო, თო-

ჩინოვნიკი ბენდუქიძე.

I.

ფოსტა—ტელეგრაფის მოხელე, VI ხარისხის ჩინოვნიკი ქაიხოსრო ბენდუქიძე დღეს რადაც არა ჩვეულებრივ ხასიათზე იყო და ამიტომაც იმოდენად დაკარგა აზრი და გონება, რომ დაენდო მხოლოდ უეცარ „საბედნიერო შემთხვევას." ეს უკანასკნელი, როგორც მოგეხსენებათ, ხდება არა ყოველთვის და არა ყველასათვის ხელ-მისაწვდენათ, უფრო ნაკლებათ კი იმათთვის, ვინაც ითვლება „ცხოვრების უკანონო შვილათ," ესე იგი „ბედ-იღბლის გერათ," რომელთა რიცხვშიც თავის თავს გაბედვით ჩასწერდა ჩინოვნიკი ბენდუქიძე.

ვალებში ჩაფლული და კვლავ განმგრძობი მათში უთავ-ბოლოთ ხლართვას, ყოველ იმედებს მოკლებული ვალების გრძელ და მაგარ თოკიდან გამოხლართვისა, ის უკანასკნელ ხანებში დღითი დღე სცდილობდა, რომ იქნებ როგორმე და რაიმე საშუალებით ეშოვა სახვალიოთ ორიოდე გროში, მშიერ-მწყურვალე ცოლ-შვილის გამოსაკვებათ. ასე თუ ისე, სხვადასხვა საშუალებით, ნაცნობებით თუ სესხით, დღემდის, ცოტათ თუ ბევრათ, კვებავდა თავის ცოლ-შვილს მხოლოდ დღეის დღეს სრულიად იმედ დაკარგული დაეხეტებოდა მდიდარ ქალაქის თვალ-უწვდენელ ქუჩებზე და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე თვალებ გაშტერებული დაეძებდა ორიოდე გროშს, რომ იმ ნაპოვნი ფულით რაიმე სურსათი ეყიდა, გულ-გახარებული გამგზავრებულიყო სახლისაკენ და მშიერ-მწყურვალე ცოლ-შვილი გამოეკვება...

ჩემო მკითხველო!.. მასი ამ გვარი ქცევა შორიდან, რასაკვირველია, სიცილს გამოიწვევდა, მაგრამ, ვინაც კი მის დაწყლულებულ გულის ნადებს ღრმად ჩასწვდებოდა და წაიკითხავდა, დამერწმუნეთ, ის გულ-შემატკივრობის ცრემლით ფრქვევასთან ერთად, დაჰკრულდა წყეულიდა ადამიანის გაჩენას და მასთან ერთად მთელ მსოფლიოსაც. ქაიხოსრო ბენდუქიძე კი, შეშინებული და თითქოს გაბრაზებული, „საბედნიერო შემთხვევის პოვნაში დარწმუნებული იყო და, როდესაც ბრუნდებოდა, სადამო ხანს, დაღლილ-დაქანცული, ფიქრებით გატაცებული, სამსახურიდან მდიდარ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, თავ-ჩაღუნული, თვალებ გაბეცებული, თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ვინმე გამვლელთაგანს, უეჭველათ დაეკარგებოდა ქისა, ფულებით სავსე, რომელსაც აი, ეხლა, ამ წუთში ის ნახავდა.

თუ სავსე ქისას არა, ოქროს ფულს, ანუ ქაღალდის სამ მანეთიანს, ანუ კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, ვერცხლის მანათიანს მაინც, რომელთაგანშიაც ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ეპოვნა...

„ოხ, რა უიღბლობა და რა უბედურებაა!.. რითი გამოვკვებო ოჯახი? ეჰ!.. შალიკო განა გასამტყუნარი იქნება, რომ ხვალ სასწავლებელში არ წავიდეს და თავის გაკვეთილები ვერ მოამზადოს?.. რასაკვირველია, არა!.. რითი უნდა გაუმტყუნო, რომ ცუდი ნიშნები მიიღოს?! ცარიელ კუჭით მეცადინეობა შეიძლება განა? ოხ, ოხ, ღმერთო ჩემო!.."—ფიქრობდა ქაიხოსრო ბენდუქიძე და თავჩაქინდრული კვლავ უგზო-უკვლო სიარულს განაგრძობდა.

შალიკოს გარდა, სამი მცირე წლოვანი ქალიშვილი ყავდა ქაიხოსროს: ბაბულია, თორმეტი წლისა, მის მომყოლი თინა, რვა წლისა და თინას მომდევარი სონა, შვიდი წლისა; ყველაზე უფროსი შალიკო კი იყო ცამეტი წლისა. ჭკუითა და ყოფაქცევით მამას ემსგავსებოდა, მხოლოდ ბაბულია კი—ნამდვილი გამოსახული მარინე იყო, ასე ეძახდენ ქაიხოსროს მეუღლეს, როგორც ხასიათით, ისე ზნე-ჩვეულებით. ყველა ესენი და ამათ გარდა 18—19 წლის ვაჟ-კაცი მოჯამაგირე, სოფლელი გლეხი, რომელიც თვეში სამ მანეთად ემსახურებოდა, ქაიხოსროს შემყურენი იყვნენ და იმის მარჯვენის ნაამაგარს დღითი-დღე ხარბად და გაუმაძღრად ნთქავდენ...

ივანიკა, ქაიხოსროს მოჯამაგირე, თუმცა ერთგული მოსამსახურე იყო, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჰამა-ხმაში კი ერთგულებას ვერ უმტკიცებდა, რადგან ორი-სამი კაცის ულუფას თვალის დახამხამებაში ყლაპავდა, რითაც ზარალში აგდებდა ისედაც ზარალს და გაჭირებაში მყოფ ბატონს.

ივანიკას ქალბატონი „კეთილშობილთა" სისხლის შვილი იყო და ამიტომაც, ხელსაქნარის გარდა, სხვა რამ „შავ" მუშაობას არა ჰკადრულობდა, არც ბაბულიას ასაქმებდა, ვინაიდან, მარინეს სიტყვებიდან, ისიც „კეთილ-შობილთა" სისხლის შვილის შვილი იყო. სხვათა შორის, სიღარიბისა გამო, ეს ბატონები არ იყვნებდენ მოსამსახურე დედაკაცს, რის წყალობითაც ივანიკა ასრულებდა როგორც მოჯამაგირეობას, ისე მზარეულობას, მოახლეობას და კიდევ—მესარეცხეობასაც. არასოდეს არ ეხერხებოდა ივანიკას, გარდა პირდაპირ მოჯამაგირეობისა, სხვა რამ შრომის კარგათ და სუფთად ასრულება: ხან ოთახი დაუგველი დარჩებოდა, ხან ლობიოს ნაცვლად მჭადს გაუკეთებდა და იმასაც ნახევრად ცომს გამოაცხობდა, არც უთოს ხმარება იცოდა და ყოველთვის გარეცხა—გაუთოვება სარეცხებისა მისთვის სიდიადეობო და საშინელ რამეს წარმოადგენდა. ვერც ქვეშაგებელს აალაგებდა ისე, როგორც ქალბატონი თხოულობდა. სარეცხების რეცხა—გაუთოვებას, განსაკუთრებით დედაკაცებისას, ივანიკა არა თავის საქმედ სთვლიდა, არამედ—დიაცისად, რაც სამარცხვინოდ და მამაკაცის დამამცირებლად მიაჩნდა.

ქალბატონმა, რომლისათვისაც ქმარი დილიდან საღამომდე ზურგ-წახრილი მუშაობდა, შეიძულა ივანიკა პირველ დანახვისა თანავე და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე „ბრიყვს" და „სულელს" ეძახდა. ეძგებოდა იმის დანახვა და სამზარეულოში შესვლის დროს ლანძღვა-გინებით მოიხსენებდა ივანიკას სახელს და მეტიდურით, თითქმის ნწყრალით, წარბებ მოღუშული „ამოწუმპულ ქვათმის" სახელით მონათლულს მკაცრად და მრისხანებით მოიხსენებდა.

დედის ამ გვარი სიტყვების გამგონე, ბაბულიაც მკაცრად და ლანძღვა—გინებით იხსენიებდა, თუმცა თავმოყვარე, მაგრამ ცხოვრებისგან დაბეჩავებულ ივანიკას. დედა და ქალიშვილი ისე აბუჩად იგდებდენ მოჯამაგირეს, რომ ხანდახან ივანიკა იძულებული იყო სიმწრისა და მორჩილების მდუღარე ცრემლები, მასდა უნებურათ, დაეღვარა. ესეც ეცოტავებოდათ დედა ქალიშვილს. მხოლოდ ბატონი კი, შედარებით სხვებთან, უფრო პატივის ცემით და „ტკბილი სიტყვებით" ეპყრობოდა ივანიკას.

ერთხელ, სრულებით შემთხვევით, ივანიკამ ყური მოჰკრა ბატონის სიტყვებს, რომელიც ლანძღავდა თავის ცოლს და სხვა სიტყვებს შორის გაიგონა, მისთვის ფრიად საინტერესო, ბატონის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები.

— ქალო, დამანებე თავი!.. ღამის გაგვიდე... რა ბრალი აწევს საცოდავ ივანიკას.. რომ არ იცის რეცხა—გაუთოვება განა გასამტყუნარია?.. სრულებითაც არა!.. ვინაიდან ის მამაკაცია და მამაკაცს დანიშნულებაში რეცხა—გაუთოვება, ბავშვების მოვლა—ძიძაობა არ შედის!.. და თუ, ჩვენი სიღარიბისა გამო, ის მრეცხავ დედაკაცის ალაგს იკავებს, პირიქით, მადლობის ღირსია, ნაცვლად ლანძღვა-გინებისა.. და შენ კი ჩემგან თხოულობ, რომ მეც მკაცრად მოვექცე მას, არ გამოვექომაგო და უშმაწურ სიტყვებით მოუშმელო წუთისოფელი, ისედაც დაჩაგრულ და ცხოვრებიდან დატანჯულს, ალალმართალ ადამიანს, რისაც ღირსი, დამერწმუნე, არას დროს და არავითარ შემთხვევაში ივანიკა არ არის!.. მამაკაცმა მხოლოდ მამაკაცს უნდა ემსახუროს და არა დედაკაცს. დედაკაცისათვის ღმერთმა დედაკაცი შექმნა და მოსამსახურეთ დედაკაცივე დაუნიშნა და თითოეულს მათგანს, ამ ქვეყანაზე, თავიანთი დანიშნულება მისცა... აბა, მითხარი, რა ივანიკას საქმეა შენი და ბაბულიას საცვლების რეცხა-გაუთოვება? განა ვერ ვგრძნობ... მაგრამ სიღარიბეს ხომ ვერ გავექცევი!..

„აი, ბიჭო, ბიჭო!.. რა მართალი ადამიანია ჩემი ბატონი!.. ღმერთმა მაგისთანა მომკლას!.."—ოდნავ ღიმილით ჩაიჩურჩულა ივანიკამ და კმაყოფილმა სამზარეულოსაკენ გასწია.

ჩინოვნიკი ბენდუქიძე კვლავად დაეხეტებოდა მდიდარ ქალაქის ქუჩაზე და ათვალიერებდა მაღაზიების ფანჯრებში გამოწყობილ მოელვარე, თვალების წარმტაც ოქრო-ვერცხლეულობას, სიხარბით უცქეროდა ყოველივე ძვირფას ნივთს და გულის ცემით თავის ბედ-იღბალს ჰკრულავდა. ქისაში მხოლოდ თორმეტი კაპიკი-ღა ჩარჩენოდა, არც სახლში ეგულებოდა ყურგახვრეტილი ფარა, არც რაიმე ავეჯი გააჩნდა, არც უბრალო ნივთი, არც უძრავი ანუ მოძრავი ქონების კერძო მესაკუთრე იყო, გამწარებულ სულის და ერთ-ხელი ტანისამოსის მეტი არაფერი არა გააჩნდა რა; რაც კი ჰქონდა ყოველივე და ყველაფერი უკვე ებრაელების ხელში იყო ჩავარდნილი, რადგან ის ოციოდე მანეთი, რომელსაც ქაიხოსრო ღებულობდა თავის შრომის ფასათ, ოჯახის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა და გაჭირვებული ცხოვრება, სულის კვეთებასთან ერთად, მას ურცხვად და პირდაპირ უკარნახებდა, რომ ყოველივე, რაიც კი გააჩნდა, ორიოდე გროშად დაეწინდა ანუ გაეყიდა. მხოლოდ ეგულებოდა სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ წაუშაოდებ ცეცხლს, რაც რედაქციაში შენებური წყალ-წყალა, დაწუნებული მასალა მაქვს და იმის ბოლით შენსავე სოროში მე დიასავით ამოიხრჩობი.

მაგრამ არა, იცოცხლე ჩემო „მეგობარო."

შერცხვეს, გინაც შენი ავი უნდოდეს, მაგრამ სისულელის რიშვისათვის კი ხანდახან ყურების აწევა არ გაწყენს:

— იქნება ჭკუა და გულწრფელ მეგობართა დარიგება მაინც ისწავლო.

უძლებ შვილთაგან შეურაცხყოფილი
შენი სამშობლო

ქართული პრესა.

ნათქვამია: „ყვავი რომ ვარდსა იპოვის, თავი ბულბული ჰგონიაო". ასე ემართება ჩვენ მეზობელ „მეგობარსაც". რაკი საკუთარი რედაქცია გაიჩინა და ერთი თვის სამყოფი ქაღალდი იშოვა, სიხარულისაგან თითონაც არ იცის რასა ჰკეკებს.

მასალის უქონლობაში რომ არ ჩამოგვართვას, ჩვენ ამოვიწერეთ ბოლოს იმ სტატიის, რომელსაც მყვირალა სახელი აქვიან: **ნაციონალიზმი და სოციალიზმი** („მეგობარი" № 12).

> ომში ბევრი რამ ცხოვრების შუაგულში დაფარული სადა ჭეშმარიტება იჩენს ხოლმე თავს... და ამ შემთხვევაში ინტერნაციონალიზმის უნიადაგობასაც ეს დაემართა..,
>
> ინტერნაციონალიზმი დაეცა... თუმცა როგორ დაეცემოდა, როდესაც იგი ფეხზე არადროს არა მდგარა...
>
> მაგრამ ზოგის ფიქრით იგი მაინც დაეცა და თავის თავთან ერთად მან დასცა სოციალიზმი: დამარცხდა ინტერნაციონალიზმი, მაშასადამე დამარცხდა სოციალიზმიცო,—აი, რა აზრები ტრიალობს დღეს ზოგ თავში.
>
> მაგრამ საუბედუროთ თავში ტრიალი ყალბ აზრებსაც ემარჯვება...
>
> აბა, რა აქვს საერთო ინტერნაციონალიზმთან მონობას, ბატონყმობას, ან კაპიტალისტურ წესწყობილებას... რა აქვს საერთო მასთან პარლამენტარიზმს, როგორც სახელმწიფოებრივი წესწყობილების ერთ-ერთ ფორმას! ყველა ეს კულტურული განვითარების სხვ და სხვა საფეხურებია, და სოციალისტური წესწყობილებაც ერთერთს ასეთ საფეხურს წარმოადგენს...
>
> თუ კაპიტალიზმი ან პარლამენტარიზმი თავის წარმოშვებისათვის არაფერს ინტერნაციონალიზმის მზგავს არ მოითხოვდა, მაშ რათ უნდა აყენებდეს ასეთს აზირებულ პრეტენზიებს მეორე ამგვარივე საფეხური კულტურული განვითარებისა: სოციალიზმი!
>
> პირიქით, ის გაცილებით უფრო მეტათ უკავშირდება ერს, გაცილებით უფრო მოითხოვს ერის განვითარებას, ვინაიდან იგი მხოლოდ საფეხურია კულტურული წინსვლისა, და კულტურული წინსვლა კი ერის ძალებს გარეშე შეუძლებელია.

სანიძლოს დავსდებთ, თუ ვინმე რამეს გაუგებს ამ „სტალიიდან" და ასეთი წერილების ავტორები ქვეყნის სხნას აპირებენ, სხვას სიტყვა—პასუხს უჩუნგბენზაბლოს! სომხისა არ იყოს!...

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ „მეგობარს" პირდაპირ უპასუხოს თემაზე და აუხსნას თავის მკითხველებს რა არის **სოციალიზმი** და რა არის **ინტერ ნაციონალიზმი**. ამის გათვალისწინება თვით „მეგობარსაც" გამოადგება, რადგანაც მეტის მეტი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ერთზეც და მეორეზეც.

ქ. ქუთაისი, 16 ოქტომბერი.

იმ დროს, როდესაც ჩვენ, განათლებულნი, ცოტათ თუ ბევრათ შეძლებულნი, ცხოვრების ავისა თუ კარგი მხრის მცოდნენი, თეორიულად თუ პრაქტიკულად ასე თუ ისე მომზადებულნი, მღვდლები თუ ბერები, ექიმები თუ ვექილები, მასწავლებელნი თუ მოწაფენი, მესტამბეები, თუ მუშები, მოქალაქენი თუ სოვდაგრები, არისტოკრატები, თუ პლუტოკრატები, ჩინიანი, თუ ურჩინონი, მწერლები, თუ ჟურნალისტები—ჯგუფ-ჯგუფათ დავყოფილვართ, ერთმანეთს თავპირს ვამტვრევთ, სიტყვას პირში ვაცლით და პირში სულს ვუწყვეტავთ;

იმ დროს, როდესაც თითოეულ ჩვენთაგანს ჩვენის ჯგუფობრივის თვალსაზრისით ვზომავთ და თუ ჩვენი „რჯულისა" არ არის, სამარეს ვუთხრით; იმ დროს, როდესაც ჩვენებური სოციალისტი თუ არა 1 სოციალისტი—ერთმანეთის ჯიბრით ათას რამესა გროშავთ და ერთმანეთს ქოქს ვუწყვეტავთ.

იმ დროს, როდესაც თავი მოგვაქვს ჩვენის ნაციონალისტობითა, თუ ინტერნაციონალისტობით; იმ დროს, როდესაც ვჩხრეკავთ, თუ ვჭექავთ ენციკლოპედიურ ლექსიკონებს და ვეძებთ მაგარ-მაგარ სიტყვებს ერთმანეთის გასალანძღავათ; იმ დროს, როცა ბრალიანი, თუ უბრალო, ღირსეული თუ უღირსი ხალხის, მასსის მეთაურობისა ვჩემულობთ,—ეს ხალხი, ეს მასსა,—ჩვენი სოფელი—უპატრონოთ არის მიტოვებული და რიგიანი გზის მაჩვენებელი არა ჰყავს მას.

აგერ ოცი წლიწადზე მეტია, რაც ქართველი ინტელიგენცია და მისგან გაწვრთნილი შეგნებული ნაწილი ქართველი ხალხისა ჩაება ევროპიულ აზროვნებაში; ოცი წლიწადზე მეტია, რაც ჩვენი ჯგუფები და ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთს ეჯიბრებიან და აყვედრიან „ჩემი სჯობისო",—მაგრამ ეს მათი ნამოძღვრალნაქადაგევი მაიაშივე ტრიალებს და როგორც სჩანს მათივე გასართობი პიქრობა ყოფილა...

სოფელი კი, სოფელი თავის ანაბარათ არის მიგდებული და აქამდე ერთი ლარი და ხაზი ვერ გაუვლია სიდუხჭირისა და გაჭირვებისაგან თავის დასაღწევათ...

აქამდე ვერ გამოფხიზლებულა და ვერ შეუგნია ვერც ჩვენი ნამოძღვრები და ვერც ჩვენი გულისთქმა.

რათა? ამიტომ რომ ჩვენ მხოლოდ კაბინეტის ხალხი ვართ, ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის გამოჩენა გვინდა: ყველა ქალაქს ვეტანებით, ყველას თბილი ადგილის შოვნა გვწადია ყველა ჩვენ თავს ვუფრთხილდებით—სოფელი კი მიგვიტოვებია პრისტავებისა, მამასახლისებისა ჩაფრებისა და იასაულების ამარა...

ჩვენ ვყვირით: სოციალისტები ვართო და ათას თუმნიან ჯამაგირებს კი მარტო ოდენ ჩვენ პირად სიამოვნებას ვანდომებთ იმ მოსაზრებით, რომ „ჩვენ ვართ სოციალისტები—რეალისტები და არა სოციალისტები უტოპისტებიო."

ჩვენ ვამტკიცებთ პატრიოტები ვართ—ვქმნით რაღაც კასტას, ამ კასტაში ვღებულობთ და ვწყალობთ მხოლოდ იმათ, ვინც ჩვენი ყურმოჭრილი ყმა იქნება, ვინც დამქაშით გაგვიხდება, ვინც კენჭს მოგვცემს არჩევნების დროს ვინც განგვადიდებს და უზომოთ გვაქებს—ერთის სიტყვით, ვინც გზად და ხიდათ გაედება ჩვენ პირად სიამოვნებას, პირად ბედნიერებას და აქამდე კი ერთი პროგრამა ვერ შევიმუშავებია სასოფლო სკოლისთვის, ხალხში აქამდე ვერ შეგვიტანია უტყუარი შეგნება დედა—ენის საჭიროებისა, აქამდე ვერ გაგვივრცელებია სახალხო გამოცემები ჩვენის მწერლობისა, ისტორიისა, წარსულისა და აწმყოს შესახებ, აქამდე ვერ გამოგვიმუშავებია სოფლისათვის საჭირო ტიპი სკოლისა, აქამდე ბიუროკრატებათ დავრჩენილვართ და ბიუროკრატიულ სულისკვეთებას ვერ გავცილებივართ.

სოფელმა არ იცის, რა არის შენი „პატრიოტობა", რა არის შენი „სოციალიზმი". იმას უბრალო ადამიანური, მოსვენებული ცხოვრება სჭირია, იმას სჭირია სადა და გულმართალი მოღვაწე, სჭირია რეალური დამხმარე და გზის მაჩვენებელი და რაკი ასეთი არა ჰყავს-როგორც თვითონ უჯობს, ისე იქცევა...

აბა, წაიკითხეთ გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებული წერილი ბ-ნ ლადო ბზვანელისა: „ჩვენი სკოლები და უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელნი" თუ თქვენ დაინახავთ ნასახ'ს ჩვენის მოძღვრების გავლენისას.

— ჩვენ ქართული ენა რაღა გვჭირია, ჩვენ გვინდა ისეთი სწავლა, რომ ჩვენ შვილებს ცხოვრებას და სამსახურში გამოადგესო...

რა იცის საწყალმა გლეხმა, რომ დედა ენა არის ერთად ერთი საფუძველი ადამიანის ნიჭს და სულიერ ძალთა განსავითარებლად...

ვინ ასწავლა, ვინ განუმარტა მას ეს საანბანო ჭეშმარიტება?

არავინ!

ვინ მივიდა გლეხთან, ვინ აუხსნა მას მისი ვინაობა, მისი ყოველ დღიურ საჭიროება?

არავინ!

ვინ ჩააგდო იგი ადამიანათ ვინ აგრძნობინა მას, რომ იგია ბურჯი ეროვნებისა, უკეთესის მერმისისა.

არავინ!

ვინ მიეშველა გლეხს გაჭირვებაში, ვინ უთხრა თბილი ძმური სიტყვა და ვინ შესწირა თავი მის გაადამიანებას?

არავინ!

პირ იქით, ყველა მას ყვლეფავს, ყველა მას უშტიალებს, ყველა მას სძარცვავს და სჭამს.

ჩვენ კი ამ დროს ვწერთ ბრტყელ ბრტყელ სტატიებს „სოციალიზმსა და ნაციონალიზმზე".

ვის რათ უნდა ჩვენი წერა?

გლეხისათვის ისეთივე გაუგებარია ჩვენი გაზეთები, როგორც ჩინური ენა.

მისთვის ისეთივე უცხონი ვართ, როგორც ესკიმოსები!...

აი, სად არის ჩვენი დანაშაული, აი რათ უარსვყოფთ თქვენ „სოციალისტობასაც" და „ნაციონალისტობასაც." აი, რისთვის ვუწოდებთ ჩვენსა თუ თქვენ თავს უქნარებს, და უბამსებს...

მიხედეთ სოფელს, მიაწოდეთ იაფფასიანი წიგნაკები, დაარსეთ საჭირო სკოლები, ასწავლეთ წერა-კითხვა, გამოეცით იაფფასიანი სასოფლო გაზეთები, შეჰკარით სოფელი ძმობა-ერთობის ნიადაგზე, უპატრონეთ ვექილებო, მოარჩინეთ ექიმებო, სამართლიანათ მოეპყარით მემამულენო, ასწავლეთ სოფელი, მწერლებო, დაუახლოვდით შრომის შვილს, პუბლიცისტებო და სოფელიც დაგაფასებთ, შეგიყვარებთ თქვენ... ყოველივე ნათელი აზრი თქვენი გამობრწყინდება და მოიტანს შესაფერ ნაყოფსაც...

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენ თვითონ გზა აბნეულნი ვართ, ჩვენ თვითონ მსხვერპლნი ვართ თვითმოყვარეობისა და მონანი—დოგმისა, თეორიისა...

და ვინც ჩვენებურათ არა ლოცულობს, დახმარების მაგიერ თავსა ვჭრით და გზას ვუსპობთ ცხოვრება—მოქმედებისას.

როცა ქართლში ერთმა „[illegible] აღებულმა" და „ფანტა[illegible] [illegible]ველმა მწერალმა სოფელ-სოფელ კვერცხებზე დაიწყო თავის პატარა გაზეთის ყიდვა, ქვეყანამ—განათლებულმა ქვეყანამ—სიცილი დააყარა და ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ იძულებული გახდეს სხვაგან გადახვეწილიყო...

— „სოციალისტი" არ არის... და ჩვენ სიგლახესაც ამჟღავნებსო...

მადლი მატლათ უქციეს და შრომა შეუგინეს.

როგორია გნებავთ ამის შემდეგ, რომ პატივი სცეს გლეხმა თქვენ მოღვაწეობას, როცა თქვენი მაღალ-მაღალი ფრაზები თქვენ კაბინეტებს არა სცილდება და თქვენი „სოციალიზმი" „თუ ნაციონალიზმი" მხოლოდ თქვენ გასართობათვე ხდება...

დაფიქრდით, ბატონებო!..

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის მაზრის ჯარის კაცთა სამართველოს განკარგულება. მთავრობის უკანასკნელი განკარგულების თანახმათ, ქუთაისის მაზრის ჯარის კაცთა ომში გამწვევი სამართველო მოუწოდებს 29 ოქტომბრისათვის დილის 8 საათზე გამოცხადდნენ ქ. ქუთაისში მცხოვრები ყველა სთადარიგო ჯარის კაცები და პირველი ხარისხის რატნიკები, (წითელ ბილეთიანები), რომლებიც ქუთაისის სამაზრო სამმართველოდან შემოწმებული იყო 19 ივლისიდან 1914 წლისა, ან სრულიად უვარგისათ იცნო სამხედრო სამსახურისთვის, ან გადარიცხული იყვენ პირველი და მეორე ხარისხის „რატნიკებათ", ისინი, ვინც განთავისუფლებული იყვნენ სხვა და სხვა ვადით. ამათში არ შედიან, ის სთადარიგო ჯარის კაცები და პირველი ხარისხის „რატნიკები", რომლებიც განთავისუფლებული იყვენ ქუთაისის სამაზრო სამმართველოდან სრულიად სხვა და სხვა ვადით 25 აგვისტოდან 1915 წლისა. ზემო აღნიშნული პირები უნდა გამოცხადდნენ ქუთაისის სამაზრო სამართველოში, ყოველივე საბუთებით და აგრეთვე მოვალე არიან წარადგინონ ვინაობის საბუთები მიცემული იმ ბოქაულისაგან, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ლები ცოლის იაფფასიანი ოქროს საყურეები, რომელიც მარინე საკუთარ თავსავით უვლიდა, რადგან, სიქალწულეში, ეს საყურეები მოტრფიალე ყმაწვილ კაცისგან ქონდა ნაბოძები და მას არავითარი გზით, არას და არას მიზეზით დასაწინდათ ანუ გასასყიდათ არ შეელოდა.

ნისიები და სესხი ყველგან დახურული ჰქონდა ქაიხოსროს. ნაცნობ—მეგობრები ერთ გროშსაც არ ასესხებდენ, რადგან დარწმუნებული იყვენ, რომ განასესხი ფული „დაიკარგებოდა", თუმცა ყველას მიმართა თხოვნით ქაიხოსრომ, მაგრამ ყველა ერთსა და იმავე გაზეპირებულ პასუხს აძლევდა: „არა გვაქვს!.. ჩვენც თითოორორა კაპიკობით ვესესხულობთ და ცოლ-შვილს ვაი-ვაგლახით ვკვებავთ!.."

ასე თუ ისე, დინდობილმა ერთად-ერთ „საბედნიერო შემთხვევაზე", რომელმაც უმტყუნა, ყველასაგან გაწბილებულმა ქაიხოსრო ბენდუქიძემ გაატარა მთელი ცის მარა დღე ნაცნობებისა და „შემთხვევის" ძებნაში. საღამო ხანს, გულ-გახეთქილი, თვალ-ცრემლიანი, შიმშილისაგან დასუსტებული ძლივს და ადგამდა, საფლავის ლოდივით, დამძიმებულ ფეხებს და ქალაქის სასეირნო ბაღში გაბოროტებული, ვითომც ჩვეულებრივ მოსეირნე—მოქალაქე, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა შორის, ისიც დასეირნობდა. მისი თვალები მხოლოდ მიწას დასცქეროდენ, აზრი-გონება კი ერთად-ერთი ფიქრით იყო გატაცებული და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე იმის თვალებს ოქროს ფულები ელანდებოდა. ბევრი სიარულის შემდეგ, იმედგაცრუებული ქაიხოსრო, კვნესით ჩამოჯდა ბაღის გრძელ სკამზე და მიეცა შემაძრწუნებელ, ხავს მოკიდებულ, უბიაკ და გულის მქენჯნავ მწარე ფიქრებს...

დიახ!.. დაღლილობამ აგრძნობია მოსვენება და ამიტომ მძიმედ, თითქმის მთელი სხეულის გაუნძრევლად, დავარდა ბაღის სკამზე. იგი ავათმყოფობას გრძნობდა და, ცივის ტალღით დაშორჩილებულს, პირი-სახეზე სიმკრთალე ეტყობოდა, ფართო შუბლზე სიმწრის ოფლი წამოსწოლოდა და თავ-ბრუ დასხმულს თვალებში სინათლე ძალზე აკლდებოდა, მარცხენა ხელის თითები უკანკალობდა... მთელი სხეული ავათმყოფობას გრძნობდა... კვნესოდა, თრთოდა, ცახცახობდა და, თვლებით დაბურობილ თვალებიდან, სიმწრის მდუღარე ცრემლების წვეთები, ერთიმეორეს მიყოლით, გამხმარ და ჭაღარა, წვერებით დაფარულ ლოყებზე ნაკადულისებრ მიმდინარეობდენ... გულში კი—ტანჯვა-წვალებას განიცდიდა და ეს ყველანი ერთად შეერთებულნი იმდენად მოქმედობდენ მასზე, რომ ის მზათ იყო საუკუნოთ გამოსალმებოდა წუთი სოფელს, საჯაროთ გამოსულიყო, გულის აღსარებანი ყველასათვის გაეზიარებინა და შემდეგ დანარცხებულს თვით წმინდათ გათლილ ბაღის ქვის სკამზე და სევდებით მოწამლულ სისხლით დაეწინწკლა ქალაქის ბაღის ვარდ-ხეივანი...

„ოხ, ოხ, ბედო ტიალო!.. მე აქ ვზივარ და სახლში კი მშიერ-მწყურვალე ცოლ-შვილი ჩემს მოლოდინშია. შიმშილით იხოცება... ასეთს გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფნას, არ ყოფნა სჯობია...—წვალებით ამოიოხრა და, გულის სიღრმიდან ამონასროლ სიტყვების შემდეგ, ღრმათ ჩაფიქრდა...

II.

ამ ხანათ ქაიხოსრო ორმოცი წლისა იყო. და რაც ვალებში ებლართებოდა მას აქეთ კი ხუთმეტმა წელმა გაირბინა, ე. ი. იმ დღიდან, რაც ცოლი შეირთო. ცხოვრების უმადური ქაიხოსრო, ნაცნობ მეგობრებს უზიარებდა თავის გულის ჯავრებს და, მის-და საუბედუროთ, ყველანი მას ამტყუნებდენ და იმის გაჭირვებულ ყოფა-ცხოვრებას მის უდროვო „დაცოლშვილებას" აბრალებდენ. „დიახ, დიახ! მიზეზი, ქაიხოსროს სიღარიბისა, ცოლია, ბატონო, ცოლი!.." გაიძახოდენ ყველანი იმის ნაცნობ-მეგობრები.

„რა ვუყოთ?.. ცოლ-შვილი ხომ ბედნიერებაა!.. ეუბნებოდა ხოლმე თავის თავს ქაიხოსრო,—განა, ყველა ცოლ-შვილის პატრონი არ არის, ვინაც კი მე მამტყუნებს და ყოველ ნაბიჯზე მაყვედრის?.. მაშ, მე რა მათზე ნაკლები ვარ? მეც ხომ ჩინოვნიკი მქვია?!. რისთვის არ შემეძლო რომ დროზე დავქორწინებულიყავი და ცოლ-შვილს მოვკიდებოდი?.."

ოცდა ექვს წლამდე ის ატარებდა საძაგელ ცხოვრებას, ოცდა ექვს წლამდე ის, უცოლ-შვილო ახალგაზრდებთან ერთად, ცხოვრების მღელვარ ზღვაში დასცურაობდა, რასაც, როგორც ვიცით, არა კარგი შედეგი მოსდევს, არამედ სამწუხარო. როდესაც ოცდა მეშვიდე წელში გადადგა, მან, მის და უნებურათ და ამხანაგებისთვის გასაოცრათ, სრულიად შეეზიზღა ახალგაზრდობის სხვა და სხვა გვარი გასართობები და ცოლი შეირთო. განა ამისათვის ქაიხოსრო დამნაშავე იყო??.

ყოველ ნაბიჯზე მას ძრახვენ მასში, რომ ის „უდროვოთ" დაქორწილდა. მხოლოდ ქაიხოსროს კი ეს ძრახვა და ყვედრება ძალზე აოცებდა, სიმართლეს მოკლებულათ მიაჩნდა და მსოფლიურ მტკნარ სიცრუით სთვლიდა.

მართალიც იყო. ჩვეულებრივი კანონი თვრამეტი წლის მამაკაცს ცოლის შერთვის ნებას აძლევს, ბუნება,—თხოულობს მასვე დაახლოვებით იმავე ხანებში. ქაიხოსრო ბენდუქიძემ კი ცოლი შეირთო, როდესაც ოცდა მეშვიდე წელში გადადგა,—მაშასადამე, რვა-ცხრა წლის შემდეგ. ნუ თუ ეს „უდროოთ" უნდა ჩაითვალოს?...

ქაიხოსროს მეუღლე, თუმცა ღარიბი, მაგრამ „კეთილშობილთა" ოჯახიდან იყო. თვით ბენდუქიძე კი,—ოდესღაც შეძლებულ მემამულის მემკვიდრე შვილი; ქაიხოსროს და მარინეს, ჯერ კიდევ ბავშობის ხანს, ერთი-მეორე გაგიჟებამდე უყვარდათ და ყოველ ღონის ძიებით ცდილობდენ, როგორმე დაახლოვებულიყვნენ და მათი ყოფა-ცხოვრება, დარდი და ვარამი ერთმანეთის ტრფობა—ალერსში გაეზიარებინათ, ამიტომაც იძულებული გახდენ შეერთებულიყვნენ და ცხოვრების მძიმე უღლის ქვეშ ორთავეს კისერი დაეხარათ. დაქორწინდენ და შეუდგენ ოჯახის მოვლა-მოწესრიგებას. ახალგაზრდობის დროს ქაიხოსროს ფულათ ფული ერთი კაპიკიც არ ქონდა შენახული, არც დედ-მამას დაუტოვებია მისთვის არაფერი, გარდა ვალებისა და ამიტომ ქაიხოსრო და მარინე მხოლოდ თვიურ ჯამაგირით სცხოვრობდენ. რასაკვირველია, პირველ ხანებში ჯამაგირი არ ყოფნიდათ, ვინაიდან მარინეს „სტუმრიანობა" უყვარდა და ქაიხოსრო იძულებული იყო, ცოლის ხასიათის დასაკმაყოფილებლათ, ვალების აღებას შეჩვეოდა. თავის რიგზე ჟამთა სრბოლამ ვალები გაამრავლა, ღვთის წყალობით—შვილებიც ეყოლათ. ჯერ ვაჟი, შემდეგ ქალი, სამი-ოთხი წლის შემდეგ კიდევ ქალი, კიდევ ქალი და „ღვთის წყალობაც" ამ უკანასკნელზე შეჩერდა. შემდეგ გაათკეცა ვალები თავის თავათ მარინემაც, რომელსაც ფულების უთავ-ბოლო ფლანგვა უყვარდა.. ვალები კი იზრდებოდენ და იზრდებოდენ, მათი სარგებლები მიმდინარეობდენ ისე, როგორათაც მდინარეს წყალი თავდაღმართზე: განურჩევლად უქმი, საქმიან და ბრწყინვალე დღესასწაულებისა არ იცოდენ არც ღამე და არც დღე, ემატებოდენ ნელა, მაგრამ შეუწყნარებლად. ცხოვრება, ვალებისსიმრავლესთან ერთად, დღითიდღე ძნელდებოდა და წუთი სოფელი ქაიხოსროს, დალხინების ნაცვლად, გაჭირებას უქადიდა...

„მე რომ ფუფუნებაში და ნეტარებაში ვცხოვრობდე, მაშინ მესმის კიდევ, ასეთ უბედურებაში ჩავარდნა... ბუნებრივი იქნება...—ფიქრობდა ქაიხოსრო ბენდუქიძე ბაღის გრძელ სკამზე მჯდომარე—მაგრამ ვერ გამიგია რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ორი პატარა ოთახი მიქირავს... ოჯახში იხარჯება რა?.. განსაკუთრებით, დღეის დღეს „საქეი" სადილი მაქვს... ცივი მჭადის ნატეხი კი არ დევს სასადილო მაგიდაზე!.. მართლაც—„შეძლების და გვარათ"!.. ხვალაც ხომ ჩემ ოჯახობას დღევანდელივით უსადილოთ დარჩენა მოელის... რა ვქნა?.. შალიკო, მართალია, სწავლობს, მაგრამ მე ერთ გროშსაც არ ვიხდი, სასწავლებელში... სწავლის ქირიდან ყოველწლობით ათავისუფლებენ, რადგან სწავლას მუყაითად ეკიდება და პირველი მოწაფეა!.. ბაბულიას სასწავლებელში ვერ ვაბარებ, ვინაიდან შეძლება ნებას არ მაძლევს!.. ოხ, ოხ, გასკდი გულო!.. ბანქოს მე არ ვთამაშობ... ღვინის მოყვარული მე არ ვარ... საზოგადოებაში მე არ ვერთობი... არც არავის ვღებულობ ოჯახში... ყველას და ყოველივეს მოკლებული ვარ და დამშვიდებით კიდევ ვერ მიცხოვრია!.. ოხ, ბედნიერებავ, ბედნიერებავ!..—ჩაიბუტბუტა ეს სიტყვები და სისხლის მღელვარებამ მსწრაფლ დაუმანჭა პირი-სახე...

სწრაფად შესწყვიტა გულის ამაღელვებელი სიტყვები და ჩუმად წამოდგა ბაღის სკამიდან. უკვე ბნელოდა, როდესაც ის გაეშურა სახლისკენ...

„ღმერთო ჩემო!..—ჩურჩულებდა ის გზაზე და ფეხებს უსწორ-მასწოროთ ადგამდა.—იმის, ივანიკას, ჩემი მოჯამაგირესიც ვალი თავზე მაწევს!... რამდენი ხანია არ გამისტუმრებია... არ მიმიცია არც ჯამაგირი და არც ნასესხი ფული... რა უბედურებაა!.. რა ღმერთი მიწყრება!.. არა, არა!.. უმჯობესია სიკვდილი... გაიფიქრა ბენდუქიძემ და სიმწრის თავსბრუ დაესხა.

(შემდეგი იქნება)

◆ ამ დღეებში ქალაქის თეატრში წარმოადგენენ სუმბათაშვილის „ღალატს“ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქქ. ვ. ალშიბაია და ქ-ნი ს. ჩიქოვანისა. მთელი შემოსავალი იქნება კავკასიის ასპარეზის ჯარის კაცთა სასარგებლოთ.

◆ ბალახვანის ქუჩის მცხოვრებლები ჩივიან, რომ უკანასკნელ დღეებში წვიმებმა ქუჩები მოსილა და გააბინძურა პატარ-პატარა ბოგირები, მოსახვევების შესავალი წალეკა და ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

◆ ქუთაისის გუბერნატორს თბილისიდან ატყობინებენ, აცნობოს იმ მეეტლის სახელი და გვარი, რომლის ეტლითაც დაბრძანდებოდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქუთაისში ყოფნის დროს.

◆ ისტამბება და ამ დღეებში გამოვა ლექსები და მოთხრობები ასოთ ამწყობ დონ - დანისა, რომლის ას ასი ცალი გადაეცემა მეხიანის და ტყვიბულის უფასო სამკითხველოს. წიგნაკი ეღირება სამ შაურად.

◆ ოთხშაბათს, 14 ოკტომბერს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში, კ. ნიკოლაძის ასულის თავჯდომარეობით, მოხდა ქუთაისის ქალთა საზოგადოების კრება. კრებაზე აირჩიეს სარევიზიო კომისიის წევრები: ა.) მარო ლომინაძისა, ფელოსია ჯაყელი, ნინო წერეთელი, ქეთო წერეთლისა და მარია ვარდოსანიძე. მათ კანდიდატებათ: აგრაფინა პავპანიძე და ოლღა კოსტავა. გამგეობის კანდიდატებათ: დარჩიაშვილისა, ვერა კორძაია, ლიუბა მაჭავარიანი და ლიზა ბერიძე.

◆ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით კვირას, 18 ოკტომბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება ლექციების კითხვა. პირველად წაიკითხავს გ. ბადრიძე ამ თემაზე: რა არის ცოცხალი ორგანიზმი? შემდეგ იქნება წაკითხული ალ. გარსევანიშვილის მიერ შედგენილი მოხსენება ,,სოლომონ ლეონიძე‘‘; ეს იშვიათი ქართველი მოქმედებდა მე 18 საუკუნეში მეფე ერეკლესთან და სოლომონთან ერთად. ასი წელი შესრულდა მის გარდაცვალების შემდეგ. სურათი ლეონიძისა უკვე შეკვეთილია. ლექციის დასაწყისი 12 საათზე.

◆ 21 და 22 ოკტომბერს ოზურგეთში გაიმართება ოზურგეთის მაზრის და ქალაქ ფოთის წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება. კრებაზე სხვა მრავალ საკითხთა შორის გაირჩევა საკითხი მოუსავლობით დაზარალებულ გურულების დახმარების მიწოდების და აგრეთვე საკითხი მომავალ საბრეშუმო წლისათვის საკრედიტო ამხანაგობათა-მიერ აბრეშუმის თესლის შეძენისა მეაბრეშუმე მწარმოებლების მისაწოდებით. კრებას დაესწრება აგრონომი ბ-ნი იოსებ ქუთათელაძე.

◆ 21—22 ოკტომბერს ქუთაისის უფასო ქალთა სასწავლებელში ამავე სკოლის მოწაფეები გამართვენ თავის ხელთნასაქმთა გამოფენას მეომართა შვილების დასახმარებლათ.

◆ სადგურ სვირის მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს ააგონ საკუთარი შენობა სამკითხველოსათვის. ვაჭრები თადარიგს უკვე შეუდგნენ და მიმართეს გ. ამილახვარს, რომ მან შესწიროს ან მიყიდოს ხსენებული სამკითხველოსათვის საჭირო ადგილი.

◆ ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტი სთხოვს ქალაქის კომიტეტს გაუგზავნოს მას შემდეგი ცნობები: 1) რაოდენობა კასის ფულისა 2) მომლოდინე შემოსავალი ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებისა და 3) რა შემოსავალი ექნებათ ოქტომბერსა, ნოემბერსა და დეკემბერში.

◆ 10 ოქტომბერს დ. სამტრედიაში ალექსანდრე ჯანელიძის სახლში ვიღაც ბოროტგამზრახველებმა ღამით მოიპარეს 60 მანეთი ფული.

◆ ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტმა 9 აგვისტოს კრებაზე, რომელსაც თავჯდომარეობდა ბ. ქუთაისის გუბერნატორი, შუამდგომლობა აღძრა, კავკასიის კომიტეტის წინაშე, რომ დახმარება აღმოუჩინოს ფულით.

ჟი, ჟი!

ჟი, ჟი, სისხლის ტბები,
ჟი, ჟი ნაღვლის გუბე,
ჟი, ჟი, შიგ ვინთქები,
ჟი, ჟი დავიღუპე.
ვინ ხარ მშველი, —
არ მიშველი?
ზღვას შევსცქერ თავშიშველი.
თუმც დავკარგე ყველა ძველი,
ახალს მაინც ველი, ველი…
სად სჩანს დილის განთიადი, —
ეგ დიადი, ეგ დიადი?
დავიქანცე მოლოდინში
სულ წყვდიადი? სულ წყვდიადი?!
რისთვის გავჩნდი ეგ შავბედი?..
მუდამ ომის გადამხედი,
ვერასოდეს ვერ შევიქენ
ჩემი ბედის გამომჭედი…
ენა, ჭკუა, სინიდისი
მომენიჭა შეთანხმებით,
ენა სდუმს, სდუმს რის მჭირია,
ჭკუასაც ვერ ვეთანხმები…
უსაქმოთ კი რატომ ვართ,
ვალაქსარებთ ტოდვილ ენას…
ვარსკვლავ-მთვარის სხივის კრებით
ვღამობთ თავის გამოჩენას…

* * *

სხვისთვის მამაცი,
ჩვენთვის ზარმაცი,
სიტყვით ტრაბახი,
საქმით საზრახი.
ჭკუა მახვილი,
სულ ტყვილი! ტყვილი?
პირში ცბიერი,
ზურგმაქციერი…
ეგ პარტიობა?
გვეპატიება?
ნეტა რას ჩავდივართ?
სხვა სხვა გზით დავდივართ.
მით მტერი ხარობს,
სიცილ ხარხარობს…
ჟი, ამ შავ დროს,
როდის მოვალთ გონს?

* * *

წინ ნავთი და უკან ცეცხლი,
ჩვენი ბედის ანაჭრელი.
სად სჩანს ბოლო, სად სჩანს ბოლო?
მტრისგან, რომ არ დავიქოლოთ?
რომ ნაღველი, რომ ეგ შხამი
საფლავში არ ჩავიყოლოთ?

რ. ხაჯავახოული.

პატარა ფელეტონი.

რათ დაიმსხვრა?

ეტიუდი.

საღამო ჟამი იყო. მზის ჩამავალმა სხივებმა აამჭყვილეს სამრეკლოები და აალაპლაპეს გუმბათებზე დადგმული ჯვრები; უკანასკნელათ კიდევ გადახედეს არე-მარეს და ჰორიზონტიდან მიიმალნენ.

— შეღამდა. ვარსკვლავები ლურჯ ცის კაბადონზე აციმციმდნენ.

წყნარათ და ლამაზათ მოცურავმა მთვარემ გადმოხედა დედამიწას და გააშუქა მთა და ბარი. საღამო წყნარი და გრილი იყო; ყველას იწვევდა დასასვენებლათ. მხოლოდ ახალგაზდა ანანია დაღონებული დაიარებოდა თავის პატარა და მკრთალათ განათლებულ ოთახში, არ ფიქრობდა მოსვენებას.

ის მთელი თავისი არსებით გაეტაცნა სხვა და სხვა კითხვას, სურდა აეხსნა თუ „რა არის მიზანი ცხოვრებისა?“

თუ რომელიმე რიგიანათ ამხსნელი აზრი ამ კითხვისა, გაუელვებდა თავში, ის ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ასეთი გადაჭრა კითხვისა უფრო სწორია და არა სხვა…

მაგრამ ამ დარწმუნებას ფრთები ისევ ეკვეცებოდა. და ეჭვიანობა კი ფესვებს, იდგამდა მის გულში.

სურვილი ამ კითხვის გარკვევით ახსნისა თანდათან მატულობდა.

— არა, ასე არ შეიძლება, ფიქრობდა ის.

რა ძნელია ცხოვრება ადამიანისა, როცა არ იცი რა უყო მას, და ან ვისთვის რა გააკეთო?

— ე-ეხ! რა სულთამხუთაობაა, წაიბუტბუტა მან და სიარულს თანდათან უმატა.

მოგვიანებით, ნაშუაღამევს, სიარულით და ფიქრებით მოქანცული ანანია ლოგინზე წამოწვა და მიიძინა კიდეც.

მაგრამ ძილშიაც ვერ მოისვენა და შემდეგი სიზმარი ნახა:

დიასახლისის კარებზე ვიღაც მივიდა, ზარს ჩამოკრა, დიასახლისმა კარები გააღო და უცნობს საუბარი დაუწყო.

დიასახლისმა უცნობი შემოიპატიჟა, ანანიას ოთახზე მიუთითა და უთხრა: აი, ბატონო, აქ ცხოვრობს, ამ ოთახში.

უცნობმა კარები შეაღო. იგი აღმოჩნდა ანანიას ძველი მეგობარი, რომელიც ერთ დროს გადასახლებული იყო სადღაც შორს. მეგობრის ნახვა მას ძალიან ესიამოვნა და ამხანაგს გულმხურვალეთ მიესალმა. ამხანაგები ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ფანჯარასთან ჩამოსხდნენ, დაიწყეს საუბარი.

— რა სიწყნარე და სიმშვიდე ჩამოვარდა ჩვენი ცხოვრების მსვლელობაში, სთქვა ანანიამ.

— ყოველგან და ყველაფერში სიცარიელე, სევდიანობაა,—სურვილი რაიმე საქმიანობისა და იმავე დროის კი ნებათა განდგომილებაა, დაკარგული ოცნების ძებნა და უიმედო ჩვენი მდგომარეობა მე მოსვენებას არ მაძლევენ!

— წინანდელმა „მრწამსმა“ ჩვენ გვერდი აგვიხვია! ან როგორია ახლა ჩვენი ცხოვრება?

— უკანასკნელმა სიტყვებმა ის ჩააფიქრა, შეჩერდა ერთი წუთით და შემდეგ განაგრძო: გახსოვს, არჩილ, წარსულ წლებში რა ალტაცებით ვიბრძოდით ჩვენ იდეალებისათვის, პროგრესისათვის!? მაშ, ახლა რისთვის მიგვაცურავს უძლურების ნავსადგურში და უიმედობისათვის მიგვიცია თავი?

— წინათ ცოდნის ძალის იმედი გვქონდა, ახლა ცოდნის რატომ აღარ ვეწრაფვით?

— განა ჩვენ დავმარცხდით?

— წინეთ ხომ ასე ვფიქრობდით, რომ ცხოვრებას ვქმნით ჩვენ, მაშ რათ დავმარცხდით?

— დიდხანს ესაუბრებოდა აღშფოთებული ანანია თავის ამხანაგს, მაგრამ ამხანაგს იმ ხნის განმავლობაში რაც მათ ერთმანეთი არ ენახათ აზრი შეუცვლია ამ საღავო კითხვებზე და ახლა უფრო ამშვიდებდა მას, ვიდრე ეკამათებოდა.

— დაანებე თავი ანანია ასეთ კითხვების თავის მტვრევას, ურჩევდა ამხანაგი. ეს კითხვები ნამდვილი სისწორით რომ გამოვარკვიოთ და გადავწყვიტოთ, მაშინ, ჩემის აზრით, სრულიად გულნატკენი დავრჩებით… ან და ადვილი შესაძლებელია, ყველაფერის თავიდან დაწყება დაგვჭირდეს, და ეს კი მოითხოვს ხელმეორეთ დაბადება—რაც შეუძლებელია.

— ჩვენ რომ გავიხსენოთ ის, თუ რა მწარე წუთები არგუნა ცხოვრების დედინაცვლობამ ჩვენ ოცნებას, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მარტო კეთილი სურვილები არა კმარა,-რომ ღრუბლიანმა ღამემ დედამიწას ცის კამარის ცისკარი ანათებდეს და ფრთა შესხმული ოცნება სინამდვილეთ გადაიქცეს.

— არა, არჩილ, არა!

— ჩვენ მასში ვპოულობდით რაღაც სათნოიანობას, სულის ჩამდგმელ სიმშვენიერეს და ახლა კი დაგვრჩენია მარტო მარიჟი ნამოქმედარისა და მეტი კი არაფერი?

— არა მგონი, არჩილ, მე, ასეთი მოვლენის სინამდვილე.

— მაშ, რა მოხდა? რათ დაიმსხვრა იმედები? კითხა არჩილმა.

მობაასენი ჩაფიქრდნენ.

— სანამ ანანია სიზმრის სიმწარეს განიცდიდა და აღშფოთებული გული ებრძოდა სხვა და სხვა კითხვას გათენებულიყო კიდეც.

ანანიას ოთახში შემოვიდა დიასახლისი და დაუწყო გაღვიძება, მაგრამ ის ღრმა ძილში იყო და სიზმარში ჩაფლული ფიქრობდა; არა, მე თანამედროვე შეუპოვარი საზოგადოებისათვის სრულიად გარეშე პირი ვარ! ჩვენ უთვისონი დავრჩით და ახლა კი განმარტოებულებს დაგვცინიან!.. ე-ეხ! ცხოვრებავ, უმადური ხარ!

— ანანია ადექით, დრო არის, რომ გამოიღვიძოთ, ეუბნებოდა დიასახლისი. ანანიამ თვალები გააჭყიტა, ერთი გაიზმორა და თან მწუხარებით ამოიოხრა.

— ანანია დარწმუნდა თუ არა, რომ მის თვალ წინ იდგა მისი ბებერი დიასახლისი, ივერია, რომელიც მოცინარე პირისახით უყურებდა მას, ვერ გაეგო თუ რაში იყო საქმე. მას ახსოვდა სიზმარი, ამხანაგთან ბაასი და იმას კი ვერ მიმხვდარიყო, თუ რისთვის მოსულა ბებერი, რომელსაც ერთ ხელში ეჭირა ფილონსი დილის საუზმით სავსე და მეორე ხელში სუფთა ტილო.

— შეხედა თუ არა ბებერმა, ივერიამ, ანანიას დაღვრემილი და უძინარ პირისახეს გაოცების ნიშნით კითხა; ანანია რა დაგემართაო? გამოიღვიძე, თორემ ცხოვრება ძილში გამოგეპარებაო!

ე—ეხ! ჩემო კეთილო, ივერია! ჩვენ რომ უნაყოფო ძილში არ გამოგვპარებოდა ცხოვრება, დღეს ხომ წინ ვიქნებოდით ცხოვრებაში, მიუგო ანანიამ და წამოდგა ლოგინიდან.

ვასო შოთავა.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ნაზუნდავი (სენაკის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს დ. ნოღალევიდან დასავლეთით ორი ვერსის დაშორებით. მთა-გორაკიანი ადგილია. ბუნებით ეს სოფელი ძლიერ დაჯილდოებულია, საღი ჰაერი და მოსავლიანი ადგილია, მაგრამ წელს მოსავალი უმუშახელობით, დიდი წვიმებისა და წყალდიდობის გამო ძლიერ ნაკლებაა. ძვირია ისეთი ოჯახი რომ მუშა ხელი არ აკლდეს და არ იყოს, ომში გაყვანილი. სოფელში სიჩუმე გამეფებული, ვერ ნახავთ ისეთ ადამიანს, რომ არ სწუხდეს, განა არა აქვთ საწუხებელი?—მუშა ხელის სინაკლულის გამო ცოტა რაღაცის დამუშავება მოასწრეს და ბოლო დროს ისიც წყალმა წალეკა და წვიმამ გაახრა, რის გამო მოსალოდნელია მომავალში უარესი სიმშილობა. დადგა თუ არა რთველის დრო თან მოჰყვა ქარი და წვიმა, რაც მოასწრეს აალაგეს, დანარჩენი კი მინდვრად უპატრონოდ ლპება. სოფელში წინა წლებში რთველის დროს გაიგონებდით ხოლმე ყანებში სხვა და სხვა სასიამოვნო ქართულ სიმღერებს, დღეს კი სიმღერის ნაცვლად სტირიან, თითქმის ბავშვებიც დიდებს თანაუგრძნობენ, ისინიც მიმხვდარან მშობლების წუხილსა და ჯავრს და ჩაფიქრებულნი მოწყენილათ მუშაობენ.

დადგა კიდეც დრამის ფულებისა და სხვა და სხვა გადასახადების მოკრეფის დრო. რითი უნდა გაისტუმროს სოფლელმა ეს ვალი? ყოველივე გლეხ-კაცის იმედი სიმინდზეა დამყარებული და ეხლა რომ სიმინდი გაყიდოს და იმ ფულებით ზემო აღნიშნული გადასახადები გადაიხადოს, შემდეგ ხომ ისევ ორწილ-მომეტებულ ფასებში უნდა იყიდოს? რადგან წელს იშვიათია ისეთი ოჯახის კაცი, რომ საყოფ სარჩოზე მეტი გასაყიდი სიმინდი ქონდეს. კარგი იქნება, რომ მიაქცევდნენ ყურადღებას მთავრობა და მ. მღვდელი სოფლელების ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას და გაუადვილებდნენ მათ გადასახადების გადახდას. ამასთანავე ამ სოფელში არავითარ სანოვაგეზე ნიხრი არ არსებობს, ამით სარგებლობენ წვრილი ვაჭრუკანები და ყოველივეს მომეტებულ ფასებში, ერთი სამათ ყიდიან, მაგალითად, რამოდენიმე დღის წინათ გავრცელდა სოფელში ხმა, რომ ნავთი ყოველგან გამოილიაო, ამით ისარგებლეს და გირვანქას 25—30 კ., ყიდდნენ. ხშირია ხოლმე ასეთი მაგალითები. საჭიროა, რომ ადგილობრივი მთავრობა მიაქცევდეს ყურადღებას ასეთ არა ადამიანურ საქციელს.

ეს სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულათ. აქ არსებობს ერთი ორ კომპლექტიანი სამინისტრო სასწავლებელი, აშენებულია სოფლის შუა ადგილზე, რომლის მეორე კომპლექტიც პირველზე დაშორებულია 2—3 ვერსის მანძილით. დიდი წვალ-გლახაა ამ სასწავლებლის შესახებ სოფელში, რო[illegible]ბათაა სოფლებში [illegible]ნიმე პირს უნდა რომ სასწავლებელი ძველ ადგილზე დასტოვონ, რამოდენიმეს კი სურთ ააგონ ახალ ადგილზე, სადაც უფრო ხშირი მოსახლეობაა. ამ მიზეზების გამო ძლიერ შეფერხებულია სასწავლებლის საქმე. მოწაფეების რიცხვი დიდია, საჭიროა მესამე კომპლექტის მომატება. აი ზამთარიც მოახლოვდა და სასწავლებელში არ მოიპოვება არც ერთი ლერი შეშა, შენობას ფანჯრები აკლია, მაგრამ ჯერ არავინ ყურს არ იბერტყავს.

ამ სოფელში რამოდენიმე ინტელიგენტები იმყოფება, მაგრამ, სამწუხაროთ, სოფლის საკეთილდღეოთ, როგორც სჩანს არ ზრუნვენ.

რაფსიმე ბოკერიასი.

* * *

სოფ. ვანი (ქვემო იმერეთი). 13 ოქტომბერს ქუთაისისაკენ მომავალ მგზავრებს, რომლებიც მდინარე რიონზე უნდა გადმოსულიყვნენ გაბმულ ბორანის საშუალებით, რომელსაც კახიანების სანავოს ეძახიან, კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა: მგზავრები, რომლებიც იყვნენ 15 კაცი და ქალი ბორანში ჩამსხდარი; სამ ალაგას გასკდენილი მავთულის კანათი გამწყდარა და ყველა მგზავრი რიონის აღელვებულ ზვირთებს წაუღია! ასე რომ თვით მენაოსნეებს ცურვა სრულებით არ ცოდნიათ.—შეიქნა ყვირილ-ტირილი, წყალში ჩავარდნილ მგზავრების ყვირილზე ბოკუჩავას პორომის მენავეები მიეშველნენ და მგზავრები დახრჩობას გადაარჩინეს.

ამ უბედურ შემთხვევის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ რიონზე გაბმულ ბორანს არც ერთს ჯამბარები არ უვარგა და ახალს კი არ უკეთებენ. ამ ნაირ უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს, რომ რიონზე გამსვლელ ხალხს ექნეს საშუალება ბორანების მსხვერპლი არ გახდეს.—რაც შეეხება აქეთკენ მგზავრობას—ვანსა და ტობანიერი-ამაღლების შუა—დიდი ცუდი შედეგები მოსდევს ხოლმე. ასე რომ დელიჟანით მოგზაურობა, და ეტლით ისეა გაძნელებული, რომ ხშირათ ფეხით სიარული უხდებათ ხოლმე მგზავრებს. გასასვლელი ხიდები და ბოგირები ხომ სრულებით არ არის, რასაც ხშირად უბედური შემთხვევა თანა სდევს, უგზოობისა გამო, ქუთაისამდი ჩამოსვლას მგზავრი თითქმის ორი დღე უნდება,—მაგალითად 13 რიცხვს მომავალი დელიჟანი, ჩააგდეს უბოგირობის გამო მდინარე „ყუმურში“ და ყველა მგზავრი კინაღამ წყალმა დაახრჩო. ყველა მედელიჟნე და მეეტლე, იმას ცდილობს მგზავრები ბლომად წაიყვანოს, მეტი ფული აილოს და გზა რომ ცუდია, იმას მხედველობაში არ ღებულობენ, რომ მოგზაურებს კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ.

ილ. ნიჟარაძე.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით — რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი ,,სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფლმბეჭდავი სტამბა ა. ლობჟანიძისა—ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან